სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

37637254095819

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190092292

რეგისტრაციის თარიღი

29.01.2019 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაცხრა იანვარს, მე-ნოტარიუს ციური ბერიძეს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ბატონმა **გიორგი მგელაძემ** (დაბ. 30.07.1961 წელს, პირადი № 01009000837, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 51, ბინა 27).

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმთა და არასამეწარმეო იურიდიული რეესტრიდან შპს "ფლექსი დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405085937) შესახებ, გაცემული 26/10/2017 09:45:07 წელს, რეგისტრაციის № B17118746. განაცხადა რომ სურს როგორც აღნიშნული საზოგადოების დირექტორსა და წარმომადგენლობით უფლებამოსილ პირს გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ **ზურაბ ლოლაშვილს**.

მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.
შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე მინდობილობის სამ ეგზემპლიარს ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაცხრა იანვარს, ბატონმა **გიორგი მგელაძემ** (დაბ. 30.07.1961 წელს, პირადი № 01009000837, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 51, ბინა 27), როგორც შპს "ფლექსი დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405085937) დირექტორმა - შემდეგში "მინდობილობის გამცემი" სრული უფლებამოსილება მიანიჭა ბატონ **ზურაბ ლოლაშვილს** (დაბ. 01.10.1961 წელს, პირადი № 01008008282, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 4, ბინა 4)- შემდეგში "მინდობილობის მიმღები" იყოს მისი სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი შემდეგი საქმიანობის საწარმოებლად კერძოდ:

იყოს მარწმუნებლის, როგორც შპს "ფლექსი დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405085937) დირექტორის წარმომადგენელი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიაში, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ სამსახურში სამსახურში რათა მარწმუნებლის სახელით და მის ნაცვლად მიიღოს, წარადგინოს დოკუმენტაცია, ცნობა, განაცხადი და ა.შ. მოახდინოს მარწმუნებლის საკუთრების არსებული უძრავი ქონების (ს.კ 01.11.12.018.021) პარამეტრების დადგენა, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს დოკუმენტები, აგრეთვე მიიღოს სარეკონსტრუქციო, სამშენებლო პროექტი, შეთანხმებული დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვა, განახორციელოს პროექტის კორექტირება, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, გადაიხადოს საზღაური და ნებისმიერი მოსაკრებელი და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება სამშენებლო ნებართვების ან პროექტების მიღება/წარდგენასთან დაკავშირებით.

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების ვადით. დავალების ხელშეკრულება ხელმოწერილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31.7.-მუხლის საფუძველზე- 10 ლარი, მუხლი 39- ის საფუძველზე- 2 ლარი- ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-1,80 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169 -ე მუხლის თანახმად. სულ 13,80 ლარი

ნოტარიუსი ციური ბერიძე